„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2025 წელი ● №5-6 (9595-96) ● 1-31 მარტი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

კვირეული - „სენაკი, გმირების ქალაქი” გაიმართა

ქვეყნის თავისუფლებას შეწირული საქართველოს ეროვნული გმირების: ჟიული შარტავას 81-ე, გურამ გაბესკირიას 78-ე და გენო ადამიას 89-ე დაბადების თარიღების აღსანიშნავად, გმირების მშობლიურ ქალაქში, კომპლექსური ღონისძიებები გაიმართა. გენო ადამიას სახელობის პირველ საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა მონაწილეობით, გმირების ხსოვნას მიეძღვნა ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი, დავით ფაცაცია, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, კოტე ბასარია საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ელისო შურღაია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები. ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა თემატური საღამო - ,,სენაკი - გმირების ქალაქი''. 5 მარტს, ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლაში, პედაგოგმა, ნანა თავართქილაძემ, საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ცხოვრებასა და მოღვაწეობას თემატური გაკვეთილი მიუძღვნა. ღონისძიებას, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის

უფროსი, გივი მისაბიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ელისო შურღაია, განათლების მიმართულებით - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, ირმა კუპრეიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, ლატავრა თოდუა, მერის თანაშემწე, ნიკოლოზ ქეცბაია და განათლების სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. 4 მარტს, ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლამ, ეროვნული გმირების საიუბილეო თარიღებს მიუძღვნა მოსწავლეთა ნამუშევრების თემატური გამოფენა. 4 მარტს, სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა ფოტოგამოფენა - ,,სენაკი - გმირების ქალაქი - ჟიული შარტავა, გურამ გაბესკირია, გენო ადამია''. კვირეული, 7 მარტს, ჟიული შარტავას დაბადების დღეს, დასკვნითი ღონისძიებებით დასრულდა.

პატივი მიაგეს

საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას დაბადების დღეს, გმირის მშობლიურ ქალაქში, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის ბიუსტი გვირგვინებით შეამკეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა, დავით ფაცაციამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლევან უჩანეიშვილმა, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, კოტე ბასარიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის, განათლების სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში აღევლინა ჟიული შარტავასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში დაღუპულ გმირთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა, დავით ფაცაციამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სახვითი ხელოვნების გალერეაში, დაათვალიერეს თემატური ფოტოგამოფენა: ,,სენაკი - გმირების ქალაქი''. ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, გაიმართა ჟიულის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო და ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. კვირეულის ფარგლებში, გმირის სახელობის სკოლაში - თემატური გაკვეთილი, სენაკის ტექნოპარკში – კონკურსი-ვიქტორინა: ,,სენაკი - გმირების ქალაქი'' - გაიმართა. დასკვნითი ღონისძიებები 17:00 საათზე, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდული თეატრის ,,ფიროსმანი'' სპექტაკლმა - ,,ჯვარცმული ბედნიერება'' დაასრულა.

შეხვედრა - "ციფრული მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში

კომუნიკაციების კომისიამ, "ციფრული მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, საინფორმაციო შეხვედრა გამართა. შეხვედრას, სენაკის მუმიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, რამაზ კუპრეიშვილი, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ელისო შურღაია, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი, დალი შონია, სამიზნე სოფლების - ადმინისტრაციული ერთეულების მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პროგრამის ფარგლებში, სენაკის სამიზნე სოფლების მაცხოვრებლებს შეეძლებათ სრულიად უფასოდ გადამზადნენ ციფრულ წიგნიერებასა და ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენებაში და გაეცნონ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა, ინტერნეტში სასურველი ინფორმაციის მოძიება, გუგლის აპლიკაციებით სარგებლობა, სოციალური პლატფორმების მიზნობრივად გამოყენება და სხვა. პროგრამის სამიზნე სოფლებია: ბეთლემი, ისულა, ლებაღათურე, ლეძაძამე, ლეგოგიე-ნასაჯუ, მოხაში, ფოცხო, საოდიმარიო, სატყებუჩავო, შრომისკარი, შუა ხორში, ციზეთი, უშაფათი და ზანა. დაინტერესებულ პირებს, რეგისტრაციისთვის, შეუძლიათ მიმართონ პროგრამის ციფრულ ელჩს, ნომერზე: 557 70 72 74. "ციფრული მხარდაჭერის პროგრამას", რომელსაც კომუნიკაციების კომისია საქართველოს რეგიონებში 2022 წლიდან აქტიურად ახორციელებს, ციფრულ წიგნიერებაში, ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენებასა და სახელმწიფო ელექტრონული სერვისებით სარგებლობის საკითხებში, უკვე 7 200-ზე მეტი ბენეფიციარი ჰყავს. "ციფრული მხარდაჭერის პროგრამა" პროექტ Log-in Georgia-ს შემადგენელი ნაწილია, რომელიც ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის მხარდასაჭერად ტარდება. Log-in Georgia - საქართველოს 500 000-მდე სოფლად მცხოვრებისთვის მაღალხარისხიანი ინტერნეტის მიწოდების შესაძლებლობის შექმნასა და ციფრული სერვისების სასარგებლო გამოყენების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. პროექტი მსოფლიო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის თანადაფინანსებით ხორციელდება.

,,უკანასკნელი თოლიას” პრემიერა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა სახალხო თეატრ-სტუდია "მოდი ნახეს" დასმა წარადგინა მსახიობისა და რეჟისორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახალხო თეატრ-სტუდია "მოდი ნახეს" დირექტორის, გიორგი ჭანტურიას სადებიუტო სპექტაკლი - ,,უკანასკნელი თოლია''. მიხო მოსულიშვილის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში მოქმედება 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს ვითარდება და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, ჟიული შარტავას და მისი თანამებრძოლების გმირულ თავგანწირვაზე მოგვითხრობს. სპექტაკლის რეჟისურა, სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმება წარმატებულ სენაკელ ახალგაზრდას, გიორგი ჭანტურიას ეკუთვნის. გიორგი, სახალხო თეატრში "მოდი ნახე", 17 წლიდან მოღვაწეობს იგი არის მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი და ნომინაციაში - ,,მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი'', არაერთხელ გამარჯვებული. გიორგი გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრი, ამავე ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დოქტორანტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის რეჟისურის მაგისტრანტი. გიორგი ჭანტურია გახლდათ რეჟისორის ასისტენტი, სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე. მიმდინარე წლიდან კი, ის, თეატრის დირექტორის პოსტს იკავებს. პრემიერას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, თეატრალური სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (გაგრძელება)

დედისა და ქალთა დღეები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, პროექტის - ,,დედას, ქალს, გაზაფხულს..."ფარგლებში, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით, დედისა და ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

საღამოზე, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ტრაგიკულად დაღუპული სენაკელი ქალბატონის, სოფო დარსალიას ხსოვნას. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას ინიციატივით, მესამე წელია, ახორციელებს პროექტს - ,,დედას, ქალს, გაზაფხულს...", რომლის ფარგლებში, ყოველი წლის გაზაფხულზე, 8 მარტს, სენაკის მერია, აჯილდოვებს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილ ქალბატონებს. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, დედისა და ქალთა დღეები მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს კულტურის სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილ ქალბატონებს, რომელნიც ათეული წლებია ღირსეულად დგანან ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრების განვითარებისა და პოპულარიზაციის სადარაჯოზე. ,,კოლხური ტრიოს" წევრებს, ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მუზეუმებში, თეოფანე დავითაიას მუზეუმსა და საბიბლიოთეკო სფეროში მოღვაწე ქალბატონებს, კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციის, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, მადლობა გადაუხადეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს. საღამოს ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, ფრაქცია - ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა



სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ხელი მოაწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს (MoU), რომლის მიზანია მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება; კოლხეთის ეროვნული პარკისა და მიმდებარე ტერიტორიებზე - ტურიზმის განვითარების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება; კოლხეთის დაბლობის - როგორც ეკოტურისტული მიმართულების - იდენტობის გაძლიერება; მომავალი თაობებისთვის - კოლხეთის ეროვნული პარკის უნიკალური ბუნებრივი და კულტურული რესურსების შენარჩუნება.

შეხვედრას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, ტურიზმის მიმართულებით - მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი, თეიმურაზ კუბეცია ესწრებოდნენ. ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი (MoU) ქმნის თანამშრომლობის სტრატეგიულ ჩარჩოს - სენაკის, ზუგდიდის, ხობის, ფოთის, აბაშის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებსა და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს - კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას შორის.

აღნიშნული პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია მდგრადი ეკონომიკური განვითარება, გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და შექმნილი შესაძლებლობების, ბუნებრივი და კულტურული რაციონალური გამოყენება.

პრეზენტაცია

სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ტურისტული კლუბის - ,,მწვანე მოლაშქრეები" წევრების მიერ - კლუბის ხელმძღვანელი - ნატალია წულაია, წარმოდგენილ იქნა პრეზენტაცია თემაზე - ,,შხეფის ციხე'' და 2024 წელს განხორციელებული აქტივობების ანგარიში. კლუბის წევრებმა ისაუბრეს კლუბის დაარსებისა და განვითარების ისტორიაზე. მათ მიერვე შექმნილი ვიდეო-კოლაჟების სახით წარმოადგინეს ისტორიულ-კულტურული, რელიგიური და ბუნების ძეგლების შესწავლის მიზნით განხორციელებული ლაშქრობების, ექსკურსიების, ტურისტულ ბუკლეტებზე მუშაობის, მათი საზოგადოებაში გავრცელების, პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერების მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-2 ქვეით ბრიგადასთან თანამშრომლობისა და სხვა მრავალფეროვანი აქტივობების საინტერესო ნიუანსები. შთამბეჭდავად წარმოაჩინეს სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლი - შხეფის ციხე. საზოგადოებას გააცნეს კლუბის სამომავლო ხედვები. პრეზენტაციას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნათია ეჯიბია, შესაბამისი სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების მხარდაჭერისთვის

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, ,,სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების მხარდაჭერის ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ქუთელია უძღვებოდა. კომისიის თავმჯდომარემ, ბადრი ქუთელიამ, 2024 წელს დანერგილი პროგრამის მნიშვნელობასა და შედეგებზე ისაუბრა. საკონკურსო კომისიამ განსაზღვრა გამოცხადებული კონკურსის ვადები და ეტაპები. განცხადების მიღება - 1 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით; საკონკურსო იდეის - განაცხადის შერჩევა -27 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით; ადგილზე ვიზიტი - 1 მაისიდან 5 მაისის ჩათვლით; გასაუბრება - 6 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით; გამარჯვებული ბენეფიციარების გამოვლენა - 30 აგვისტო.

გამოიყენე შესაძლებლობა, დაწერე პროექტი შემდეგი მიმართულებებით: სოფლის მეურნეობა - მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მემცენარეობა, სანერგე და სასათბურე მეურნეობა, მეთევზეობა, რძის პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია; ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში - მზის პანელები, წვეთოვანი სარწყავი სისტემა, სასათბურე კონსტრუქცია, ხელოვნური განათება, ელექტრომწყემსი და სხვა; აგროტურიზმის განვითარება - ტურისტული სერვისები, ტურიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მომსახურეობა; ინოვაციური იდეები, რომელიც ხელს შეუწყობს სენაკის მუნიციპალიტეტში აგრო და ეკოტურიზმის განვითარებას. პროექტის კრიტერიუმები უნდა მოიცავდეს: იდეის აღწერას; პროექტის მიზანს და ამოცანებს; მოსალოდნელ შედეგებს; ბიუჯეტს. კონკურსში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სრულწლოვანი ფიზიკური პირი - ქალი ან ქალთა საინიციატივო ჯგუფი; ახალგაზრდა ან ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი; უპირატესობა ენიჭება: ახალი ბიზნესის წამოწყებას; ინოვაციურ პროექტს ,რომელიც ითვალისწინებს განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებას; ახალგაზრდა (35 წლის ასაკის ჩათვლით) სუბიექტის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ქალთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას; მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის (დედის) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას; მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე დედის (ოთხი ან მეტი შვილი 18 წლამდე) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას. პროექტის მინიმალური ბიუჯეტი 1 000 ლარი; მაქსიმალური ბიუჯეტი - 5 000 ლარი. თანამონაწილეობა სავალდებულოა, თუ მოთხოვნილი თანხა ტოლია ან აღემატება 4 000 ლარს; თანამონაწილეობა უნდა მოიცავდეს მოთხოვნილი თანხის 20 %. თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ ფინანსური მონაწილეობა; შესაძლებელია, გრძელვადიანი (1 წელზე მეტი) აქტივის შეძენა. საპროექტო წინადადება შეგიძლიათ წარმოადგინოთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში, ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქუჩა 103 ან ელექტრონულ მისამართზე: senakismeria@gmail.com; დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით: 599 85 75 52 - დალი ქაჩიბაიას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტს, კომისიის მდივანს. 2024 წელს, ,,სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების მხარდაჭერის ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში, სენაკის მერიამ, 5 პროექტი დააფინანსა: ,,გარემო - ყვავილებისთვის"; ,,მზის ენერგია - დანახარჯების დაზოგვისა და ეკოლოგიური გარემოს შექმნისთვის"; ,,იშვიათი ჯიშების შინაური ფრინველების მოშენება, რეპროდუქცია და რეალიზაცია"; ,,ჯოკას ქოხი" - აგროტურისტებისთვის; ,,ფუტკრის ოჯახების მოშენება".

შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, საკრებულოს წევრი, მარინე ნანეიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, სპორტის მიმართულებით - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, გოგიტა მზარელუა, ქართულ ჭიდაობასა და ჭიდაობა-ძიუდოში საქართველოს ჩემპიონს, წარმატებულ სენაკელ სპორტსმენს, ალექსი გულუას, მწვრთნელ-მასწავლებლებს: გელა ხარბედიას, უჩა ჯღარკავას და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024-2025-ის სენაკის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული სკოლების პედაგოგებს შეხვდნენ, მათ მოპოვებული გამარჯვებები მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ოლიმპიადის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებულებს, საჩუქრად, სასკოლო ოლიმპიადის ბრენდირებული ფორმები გადასცა. სენაკის მერმა, საქართველოს ჩემპიონს ქართულ ჭიდაობასა და ჭიდაობა-ძიუდოში, წარმატებულ სენაკელ სპორტსმენს, ალექსი გულუას, ასევე გადასცა ფულადი ჯილდო. ალექსი გულუას სპორტული მიღწევების შესახებ: საქართველოს ჩემპიონატზე ქართულ ჭიდაობაში, 2008-2009 და 2010-2011 დაბადებულ სპორტსმენთა შორის, 50 კგ. წონით კატეგორიაში, ალექსიმ, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა; რესპუბლიკურ ტურნირზე ძიუდოში, 50 კგ. წონით კატეგორიაში, წარმატებული სენაკელი სპორტსმენი, ჩემპიონი გახდა; რესპუბლიკურ ტურნირზე ძიუდოში - ,,კოლხეთის თასი 2024" - ტურნირის გამარჯვებული. 2008-2009 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა მასტერსზე, 50 კგ. წონით კატეგორიაში - მეორე ადგილის მფლობელი. სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024-2025-ის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული გოგონათა შორის - გეზრბენში, 3X3-ზე კალათბურთში, ბადმინტონში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში გახდა ნოსირის საჯარო სკოლის გუნდი. მინი ფეხბურთში - ქვემო ფოცხოსა და უშაფათის სკოლების გაერთიანებული გუნდი; ვაჟთა შორის - გეზრბენში გამარჯვება ძველი სენაკის სკოლის გუნდმა მოიპოვა, 3X3-ზე კალათბურთში - ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის გუნდმა, ბადმინტონში ნოსირის საჯარო სკოლის გუნდი, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში - ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლის, მინი ფეხბურთსა და ხელბურთში - მეშვიდე საჯარო სკოლის, ხოლო მხიარულ სტარტებში - ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლების გუნდებმა.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასასრული)

ჩვენი მუნიციპალიტეტი საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის გამარჯვებულია

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით გამართულ საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის (BPP) მეშვიდე ეროვნულ კონფერენციაზე, კონკურსში გამარჯვებულ 11 მუნიციპალიტეტს შორის, სენაკის მუნიციპალიტეტი დასახელდა. საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის სპეციალური ჯილდო და სიგელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ვახტანგ გადელიას გადაეცა. საუკეთესო მუნიციპალურ პროგრამად, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტი - ,,ენერგოეფექტური ტენოლოგიების დანერგვა სენაკის მუნიციპალიტეტში მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SEKAP) მიხედვით - დასახელდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: დედაქალაქის მერმა, ათეა-ს პრეზიდენტმა, კახა კალაძემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ქადაგიშვილმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საქართველოს მუნიციპალიტეტების პირველმა პირებმა და საჯარო მოხელეებმა. ეროვნულ კონფერენციაზე სპეციალური პრიზები და სიგელები ასევე გადაეცათ ფოთის, ზუგდიდის, რუსთავის, ბათუმის, ქუთაისის, დუშეთის, თეთრიწყაროს, დმანისის, ხარაგაულის, ონის, ბაღდათისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებს. დაჯილდოვდნენ თვითმმართველი ერთეულების ის თანამშრომლები, რომლებმაც საკონკურსო განაცხადის შედგენაში უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან, საუკეთესო პრაქტიკის სპეციალური ჯილდო მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტს, დალი ქაჩიბაიას გადაეცა. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ გადელიას მერობის პერიოდში, ეს უკვე მეოთხე აღიარებაა: 2023 წლის საუკეთესო მუნიციპალურ პროგრამად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტი - შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს საგრანტო პროგრამა: "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მათი ოჯახის წევრთა იდეების მხარდაჭერა და შემოსავლების გენერირება, შშმ პირთა საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა" - დასახელდა. 2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის სპეციალური ჯილდო და სიგელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ვახტანგ გადელიას, ნომინაციაში: კერძო-საჯარო დიალოგი და პარტნიორობა ადგილობრივ დონეზე, გადაეცა. 2021 წლის საუკეთესო მუნიციპალურ პროგრამად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტი - ,,შინ მოვლის პროგრამა" დასახელდა. 2020 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტს გამარჯვება, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში განხორციელებულმა პროექტმა - ,,სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით" მოუტანა.

ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს პროექტი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს პროექტის - ,,ახალგაზრდები ინოვაციური იდეებისა და მეწარმეობის განვითარების უნარების დასაუფლებლად'' - ფარგლებში, სენაკის ტექნოპარკში, შემაჯამებელი ფორუმი გაიმართა.

,,ახალგაზრდები - ინოვაციების ეკოსისტემაში, გამოწვევები და შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზე" - ფორუმის მთავარმა მომხსენებელმა, ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა. ვახტანგ ბააკაშვილმა ისაუბრა. ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობის მნიშვნელობაზე, ახალგაზრდებისთვის მოქმედ და დაგეგმილ მუნიციპალურ პროგრამებზე ისაუბრა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ. ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ასოციაციის საერთაშორისო და რეგიონული პროექტების კოორდინატორმა, ეკატერინე გვარამიამ აქცენტები ახალგაზრდული საბჭოების მნიშვნელობასა და გაძლიერებაზე გააკეთა. ინოვაციური იდეებისა და მეწარმეობის უნარების დაუფლების დეტალებზე, პროექტის მნიშვნელობასა და შედეგებზე, სენაკის ტექნოპარკის მენეჯერმა, თამარ მალანიამ ისაუბრა. ახალგაზრდა სტარტაპერებს საკუთარი გამოცდილება საგრანტო კონკურსის - ,,GITA 25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტი რეგიონებს'' - გამარჯვებულმა, ანრი დუდუჩავამ გაუზიარა. პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებსა და შედეგებზე, ნოსირისა და თეკლათის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა - ანა კირტავამ, გიორგი აბურჯანიამ, ანასტასია ყალიჩავამ და ლიზი სახოკიამ ისაუბრეს. პროექტის მონაწილეებს - ახალსოფლის, ნოსირის, თეკლათის, მენჯისა და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, სერთიფიკატები და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსგან, სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. შემაჯამებელ ფორუმს ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, ახალგაზრდული საბჭოების ასოციაციის ხელმძღვანელი, ილარიონ ფიფია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწეები - მარინე ფაღავა, ნიკოლოზ ქეცბაია, კულტურისა და ახალგაზრდობის მიმართულებით - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორი, გვანცა მალანია, მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრები და პროექტში ჩართული ახალგაზრდები. პროექტის ფარგლებში ჩატარდა: 9 საგანმანათლებლო ტრენინგი; ,,ფერმა სენაკში" დამფუძნებლის, სენაკელი მეწარმის, მურმან გვასალიას და ახალგაზრდული საბჭოს წევრის, ანასტასია ჯანაშიას მასტერკლასები; გასვლითი ვიზიტები - ,,ირმას ორანჟერეას" დამფუძნებელთან, ირმა ადამიასთან და ქართული წარმოების ბრენდის ,,თამისი" დამფუძნებელთან, თამარ გელაშვილთან; შეიქმნა მოხალისეთა კლუბი. პროექტი - ,,ახალგაზრდები ინოვაციური იდეებისა და მეწარმეობის განვითარების უნარების დასაუფლებლად''- ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ასოციაციამ, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო -სენაკის ტექნოპარკის მხარდაჭერით განახორციელა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

***

2025 წლის 7 მარტს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1.(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის" დირექტორი ვეფხვია ვეფხვაძე.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტს გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი.

***

2025 წლის 12 მარტს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას I ქუჩის III შესახვევისათვის წმინდა ალექსი შუშანიას სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიგა წურწუმია.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მ/შ, ეკატერინე კიზირია.

***

2025 წლის 14 მარტს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრების გადაწყეტილებით, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2024 წელს გაწეული საქმიანობა დადებითად შეფასდა.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

რეიტინგს პროფესიონალიზმი განსაზღვრავს

ბავშვის ჯანმრთელობის დაცვა არის ქვეყნის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ცხადია ჯანმრთელობა დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, სწავლის პროცესზე, მის ქცევასა და აქტივობებზე მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ავადმყოფობის ჟამს მშობელი ფიქრობს სად, რომელ სამკურნალო დაწესებულებას მიაკითხოს. დიდი ფიქრიც არ დაგჭირდებათ, კლინიკა რომელიც საფუძვლიანად შეიძლება ჩაითვალოს სანდო დაწესებულებად როგორც სენაკის ასევე რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების მოსახლეობისათვის, არის შპს ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფო".

კლინიკის ხელმძღვანელია ქალბატონი ლუარა დგებუაძე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვაზე. ის გამოირჩევა კვალიფიციურობით, კომუნიკაბელურობით, შრომისმოყვარეობით. ქალბატონი ლუარა არის სენაკის საპატიო მოქალაქე, ბიზნესრეიტინგების მრავალგზის გამარჯვებული, დაჯილდოებულია სიგელებით, ფლობს სერტიფიკატებს. ქართული ტრადიციული ოჯახის დიასახლისი, ორი შვილის დედა და სამი შვილიშვილის ბებია თვლის, რომ ქვეყანაში ჯანსაღ მომავალს ჯანმრთელი, განათლებული თაობები ქმნიან, ამიტომ გამოცდილმა და კვალიფიციურმა პედიატრიულმა პერსონალმა მუდმივად უნდა იზრუნოს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და მკურნალობის ეფექტურ, თანამედროვე მეთოდებზე.

2024 წელს შპს ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფო"-მ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გამოვლენისთვის მიიღო AACI ამერიკის საერთაშორისო აკრედიტაცია და ISO 9001:2015 სერტიფიკატი. ეს მიღწევა მნიშვნელოვანი ეტაპია საავადმყოფოსთვის, რომელიც ცდილობს მუდმივად გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტები.

შპს ,,სენაკის ბავშვთა საავადმყოფო" სამედიცინო მომსახურებას უწევს 2 891 ბენეფიციარს ამბულატორიული და სტაციონალური დეპარტამენტების მეშვეობით, სადაც სულ დასაქმებულია 75 პერსონალი: ექიმი, ექთანი, ადმინისტრაციული, სამედიცინო და ტექნიკური პერსონალი.

2024 წელს საავადმყოფოს ორივე სართულს ჩაუტარდა სრული რემონტი: ამერიკის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტი განთავსდა შენობის პირველ სართულზე, სადაც ასევე არის გეგმიური ამბულატორიის დეპარტამენტი, ლაბორატორია, ექოსკოპიის კაბინეტი და ადმინისტრაცია. მეორე სართული კი მთლიანად დაეთმო სტაციონარს, რომელიც გაშლილია 20 საწოლზე. სტაციონარში არის ერთი საპროცედურო, ერთი ინტენსიური თერაპიის პალატა და ერთი ბოქსირებული პალატა ინფექციური პაციენტების დროებითი დაყოვნებისათვის.

ექიმებისა და ექთნების კვალიფიკაცია მაღალია. ყოველწლიურად ხდება მათი კვალიფიკაციის ამაღლება. 2024 წელს ადგილზე სპეციალისტების მოწვევით ტრენინგები ჩაუტარდა ყველა სამედიცინო პერსონალს.

საავადმყოფოს გააჩნია მუდმივი დენის წყარო - მაღალი სიმძლავრის გენერატორი, ასევე აქვს დამატებითი წყლის ავზები, გათბობა ცენტრალურია, ასევე დამონტაჟებულია დიდი სიმძლავრის 3 კონდენციონერი, ასე რომ პაციენტებს და პერსონალს ზამთარში გარანტირებული აქვს სითბო, ხოლო ზაფხულში სიგრილე.

საავადმყოფოს გააჩნია კარგად აღჭურვილი ლაბორატორია. თითქმის ყველა სახის გამოკვლევა, როგორც კლინიკური ისე ბიოქიმიური ტარდება ადგილზე 24 საათის განმავლობაში. კლინიკას გააჩნია თანამედროვე ანალიზატორები: სისხლის, შარდის, ბიოქიმიური, ელექტრონული მიკროსკოპი, იმუნოფლუორესცენტრული ანალიზატორი, ინკუბატორ-თერმოსტატი. ადგილზე შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე სხვადასხვა სახის მასალის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა. ყველა აპარატს გავლილი აქვს გარე ხარისხის კონტროლი, ამ მიზნით ხელშეკრულება გვაქვს დადებული შპს ,,ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯიასთან".

საავადმყოფოს აქვს გეგმიური ამბულატორიის დეპარტამენტი 4 პედიატრიული უბნით. თითოეულ უბანს ემსახურება ექიმი და ექთანი. ამბულატორიაში პაციენტებს კონსულტაციას უწევენ სპეციალისტები: ქირურგი, ოტორინოლარინგოლოგი, ნევროლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი, გინეკოლოგი. პოლიკლინიკაში პაციენტებს ემსახურება კარგად აღჭურვილი აცრების კაბინეტი ექიმით და ერთი ექთნით. ასაცრელი კაბინეტი აღჭურვილია სპეციალური მაცივრით და ანტიშოკური პრეპარატებით. ასაცრელი მასალის მიღება წარმოებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან. სულ 2024 წელს ჩატარდა 1265 აცრა 739 ბავშვზე.

საავადმყოფო მუშაობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესაბამისად. კლინიკა აღჭურვილია კარდიომონიტორებით, ჟანგბადის მიწოდება ხდება ცენტრალური გზით, ასევე გააჩნია ინფუზომატი, ეკგ, ელექტრონული და პორტატული ამომწოვი აპარატები. 2024 წელს შევიძინეთ დეფიბრილატორი, ლარინგოსკოპი, ამბუ და დავამატეთ ჟანგბადის მიწოდების 8 წყარო. სტაციონარში პაციენტები ხვდებიან, როგორც ამბულატორიის ექიმების მომართვით, ისე თვითდინებით, ასევე გვაქვს მომართვიანობა მეზობელი რაიონებიდან. უზრუნველვყოფთ სტაციონალურ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების სამჯერად კვებას.

სულ 2024 წელს ამბულატორიაში ექიმებთან მომართვის რაოდენობა იყო 11 708, მათ შორის ავადმყოფობის გამო 11 496. 2024 წელს სტაციონალური მკურნალობა ჩაუტარდა 472 პაციენტს, მათ მიერ გატარებულ საწოლდღეთა რაოდენობამ შეადგინა 2 364 საწოლდღე, სიკვდილიანობის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, სხვა სამკურნალო დაწესებულებაში რეფერირებული იყო (თბილისსა და ქუთაისში) 21 პაციენტი. სტაციონარში გადაუდებელი ამბულატორიული დახმარება გაეწია 8 767 პაციენტს, ლაბორატორიული ანალიზები სულ ჩატარდა - 20 574, C ჰეპატიტის სკრინინგი - 4 949.

თანამშრომელთა ანაზღაურება ბავშთა პოლიკლინიკაში ხდება კაპიტაციური მეთოდით, ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილია 0,86 ლარი (უბნის ექიმი), სპეციალისტი - 0,82 ლარი, ლაბორატორია - 0,25 ლარი.

სტაციონარში და გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტში ანაზღაურება ხდება გამომუშავებით და მოჭრილად, ექიმს საათში არანაკლებ 7 ლარი, ექთანს საათში არანაკლებ 4,40 ლარი. იგივე მეთოდით ხდება დაფინანსება მორიგე ექიმების და იმ ლაბორანტების, რომლებიც ემსახურებიან სტაციონარს.

საავადმყოფო მთლიანად მომარაგებულია ერთჯერადი მოხმარების საგნებით: ხალათებით, ბახილებით, ნიღბებით, ხელთათმანებით, აგრეთვე სადეზინფექციო მასალებით.

რაც შეეხება დაფინანსებას: 2024 წელს ბავშვთა საავადმყოფოს მიერ სამედიცინო დახმარების შედეგად მიღებულმა შესრულებამ შეადგინა 1 354 128 ლარი, ხარჯი 1 407 849 ლარი. მედიკამენტების, აპარატურის, სხვადასხვა სახარჯი მასალის შესყიდვა ხდება ტენდერების მეშვეობით კანონის სრული დაცვით.

სამედიცინო დაწესებულებაში, გამოცდილ და კვალიფიციურ პერსონალთან ერთად წარმატებულად საქმიანობენ ტექნიკური დარგის მუშაკები, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, სოციალური მუშაკი და სხვა. ამასთან კლინიკის ხელმძღვანელი თვლის რომ სამედიცინო სფეროში მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კადრების მოზიდვა. რაც არ უნდა კვალიფიციური იყოს მედპერსონალი, ის აუცილებლად საჭიროებს განახლებას, ახალი ძალით შევსებას.

სენაკის ბავშვთა საავადმყოფო არ აპირებს მიღწეულზე გაჩერებას. მისი მიზანია განაგრძოს საერთაშორისო სტანდარტების დაცვა და გააფართოვოს მომსახურების სპექტრი. საავადმყოფო გეგმავს ინვესტირებას თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებში და აქტიურად იმუშავებს ახალი პარტნიორობების დამყარებაზე, რათა საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხი კიდევ უფრო მაღალი იყოს.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციის სახელით შპს ,, სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს" ვუსურვებთ ნაყოფიერ საქმიანობას, პროფესიის ერთგულება და სიყვარული არის ის ფაქტორი, რაც წარმატებულს, მოტივირებულს და მოთხოვნადს ხდის ექიმის საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიას. ჩვეული ენთუზიაზმი და შემართება, უამრავი მადლიერი პაციენტი არ მოკლებოდეთ ჩვენს სახელოვან მედიკოსებს.

მედეა ბალათურია

შთამომავალი

მონაზონი ზოია შუშანია

იღუმენია ფავსტო და მონაზონი აკეფსიმა ზოიასთან

ისლამ შუშანიას შთამომავლები

ისლამი ოჯახთან

,,მონაზონება სულით ანგელოზებაა, გარნა ხორცით ჯვარის ტვირთვაა და ბუნებური თვისებების უარყოფაა” (ალექსი ბერი)

,,მაღალ კუნძულზედ ავაგე სახლი, დავყურებ ქვეყნის რთული ქმნულებას, ტაძარი შიდ მაქვს, სულის სალხენი, მაშიდ ვუგალობ მაღლის ბუნებას, ძღვენსა შევწირავ უძლურებითა, წმენდდეს ადამის ტომთა წყლულებას, ამით შევხარი აღდგომის დღესა, რით მე ვეწიო თავისუფლებას”, ეს ღირსი მამა ალექსი ბერის სტრიქონებია, მის მიერ განახლებული ეკლესიისადმი, რომელსაც სავანეს უწოდებს. ამ სავანეში შუშანიების არაერთმა თაობამ იღვაწა და სულიერებით დაიხარჯა. მათი დაუღალავი მეცადინეობით კი ეკლესია კეთილმოეწყო, სადაც წმინდა ალექსის სულიერების გამგრძელებელი შთამომავლები სულ იყვნენ, მათ შორის დედა ზოია, რომელიც მენჯის მთავანგელოზის ეკლესიაში მონაზონია. ის გახლავთ წმინდა ალექსი ბერის ბიძის -ისლამ შუშანიას შვილთაშვილი. ეს უკანასკნელი მამა ალექსის სულიერ ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილის შემტანი, თავად უზომოდ გნათლებული პიროვნება ყოფილა. წარმოშობით კვაუთელია(ლეძაძამის თემი). ისლამი თავიდან სტამბოლში ეწეოდა თურმე სავაჭრო საქმიანობას, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ზუგდიდში გააგრძელა იგივე საქმიანობა. ყოფილა აღმოსავლური ენების მცოდნე, უაღრესად მორწმუნე, წიგნების მოყვარული კაცი. მოვლილი ჰქონია მთელი აღმოსავლეთი(ეგვიპტე, სირია, პალესტინა, არაბეთი)ასევე ყოფილა იერუსალიმში საბაწმიდის ლავრაში, ჯვრის მონასტერში, სინას მთაზე.

ერთხელაც ჯანმრთელობის პრობლემა შექმნია, ურჩევიათ სოფელ კვაუთში არსებულ აბანოში მიეღო აბაზანები, ისიც ჩამოსულა, გიორგი ბარქაიას ოჯახში დაბინავებულა და პროცედურებს შესდგომია. ისლამს კვაუთი ისე მოსწონებია, რომ ადგილობრივ მაცხოვრებელ დგებუაძისგან შეუსყიდია მიწები, კარმიდამო მოუწყვია და გაუმართავს სახლ-კარი. ცოლად კი აღნიშნული დგებუაძის ქალიშვილი ანუკი შეურთავს. ასე დასახლებულა ისლამი კვაუთში. მისი გამრავალრიცხოვნებული შთამომავლობის ნაწილი დღესაც აგრძელებს ცხოვრებას აქ, ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ღმერთმა ამრავლონ.

ისლამ შუშანიას და ანუკი დგებუაძეს სულ 5 შვილი შეეძინათ. აქედან ერთ-ერთი ონოფრე მამა ალექსი ბერის ბიოგრაფი გახლდათ. მას თავის დროზე კიევის სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული, ბოლოს მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის ჯერ მეთოდისტად, შემდეგ კი გამგედ. ქალიშვილები ფავსტო და აკეფსიმა მამა ალექსის ხელდასხმით მონაზვნები გახდნენ. საეკლესიო გზა გააგრძელეს შვილთაშვილებმაც-მამა ზინობი (ქუთაისი), მონაზვნები ზოია და ნინო (სენაკი).

ამ დღეებში სავანეში ყოფნისას დედა ზოიამ ბევრი რამ საინტერესო გვიამბო, რომელიც ვფიქრობ თქვენთვისაც მნიშვნელოვანი იქნება და გზა და გზა მოგიყვებით.

ისლამის ერთ-ერთ შვილს არისტრახოს მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყოლია, სულ ცხრა შვილი, ყველა ნიჭიერი, განსწავლული და მისაბაძი ოჯახის პატრონები. ზოიასა და ნინოს მამა ბარომი არისტრახოს ერთერთი ვაჟიშვილია, ის დაქორწინებული იყო თანასოფლელ უსათნოეს ქალბატონზე სალომე (ციცა) ბარქაიაზე. შესძენიათ სულ 5 შვილი. სამამაულო ომმა დაანგრია მათი ოჯახური ბედნიერება. 37 წლის ბარომი ომში დაიღუპა. მცირეწლოვანი შვილებით დარჩენილი სალომე ცდილობდა უმამობა არ ეგრძნოთ შვილებს, მაგრამ? აქ იღუმენია ფავსტო ამოუდგა მას გვერდით და ძმისშვილებს აარიდა ობლის დუხჭირი ყოფა. დედა ზოია ასე იხსენებს: - ჩემი დები და ძმა მამიდას რიგრიგობით მოჰყავდა სავანეში, უვლიდა, ასწავლიდა და გარკვეული წლების შემდეგ ისევ დედასთან უშვებდა, ახლა მეორეს წამოიყვანდა, შემდეგ მესამეს და ასე მონაცვლეობით. მამა ომში რომ წავიდა ორი თვის ვყოფილვართ ტყუპები, როცა წამოვიზარდეთ(3 წლის) მამიდამ ორივე წამოგვიყვანა, გაგვზარდა, საეკლესიო ცხოვრების წესები შეგვათვისებინა, შეგვაყვარა უფლის გზა და ისე გამოვიდა, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ ჩვენ გავაგრძელეთ აღნიშნული საქმე.

სულიერად და ფიზიკურად გამორჩეული იღუმენია ფავსტო წიგნიერი, დინჯი, გაწონასწორებული და ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა. მას ანგარიშს უწევდნენ თურმე არამარტო საეკლესიო სივრცეში, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაში, პარტიული მუშაკებიც კი. ამის დასტურად სტალინისადმი მიწერილი მისი წერილიც კი საკმარისია.

ყოფილი მესამე საშუალო სკოლა დავამთავრე, აგრძელებს დედა ზოია. ფავსტო მამიდა ყელსახვევის ტარებას, შარვლის ჩაცმას გვიკრძალავდა, არადა ყველა საგანში კარგი ნიშნები მყავდა, ფიზკულტურაში კი ფორმის(შარვლის) ჩაუცმელობის გამო მასწავლებელმა ორიანი გამომაყოლა, ამის გამო მამიდა რაიკომის მდივანს შეხვდა, სადაც დიდი პატივით მიუღიათ, დაპირებიან რომ მსგავსი ფაქტი არ განმეორდებოდა, შემდგომ ამისა, მამიდა სკოლაშიც მოვიდა, მთელი სკოლის მოსწავლეები გაკვირვებულები უყურებდნენ ჯვრითა და სამონაზვნო სამოსით შემოსილ იღუმენიას, როგორი მოწიწებით აცილებდა სკოლის დირექცია(მათ ხომ არასოდეს ენახათ ეკლესიის მსახური). მიუხედავად ყველაფრისა მამიდები მეტად თავმდაბლები იყვნენ. ისინი ყველაფერს თავის ხელით აკეთებდნენ, დღემუდამ შრომაში ატარებდნენ, ეკლესიის სალ-კლდოვან მიწას საკუთარი ხელით ამუშავებდნენ, რგავდნენ, ფრინველსა და საქონელს უვლიდნენ... ეწეოდნენ ქველმოქმედებას, გაჭირვებულს ეხმარებოდნენ. ხშირად იტყოდა- რასაც გავცემ, უფალი ხუთ იმდენს მომცემსო. ერთსაც გავიხსენებ, როცა მამა ალექსი გარდაიცვალა, ის მამიდა ფავსტოს სიზმარში გამოცხადებია: - მე სულ თქვენთან ვიქნები, არასოდეს მიგატოვებთ, ოღონდ თქვენც არ მიატოვოთ სავანეო”-უთქვამს მას.

მართლაც ორმოცი დღის მანძილზე ყოველდღე ეცხადებოდა თურმე ღირსი მამა მათ, ამიტომაც უფლის შეწევნითა და მამა ალექსის ძალისხმევით მამიდებმა-ფავსტომ და აკეფსიმამ აქაურობა არათუ დატოვეს, არამედ ეკლესიის განვითარებაზეც იზრუნეს, კომუნისტურ ეპოქაში აქ წირვა-ლოცვა არ შეწყვეტილა, შემდეგ მათი ტრადიცია ჩვენ გავაგრძელეთ. მე და ნინოს სავანის გარეთ ერთი დღეც არ დაგვიყვია. დღემდე მონაზვნური წესრიგით, ეკლესიის აღდგენა-განვითარების მცდელობით, ყოველდღიური შრომით ვადიდებთ უფალს, მისთვის გარჯა არასდროს დამზარებია, რწმენის სიღრმე სულს გისპეტაკებს და ფიზიკურ დატვირთვასაც გვიადვილებს. ასე შევძელით ეკლესიისათვის გალავანი შემოგვევლო, ეზო მოგვეწესრიგებინა, მარტო მე და ჩემმა ძმამ სამასი მანქანა ქვა შევაგროვეთ და გავასუფთავეთ აქაურობა. ერთხელაც 6 კბმ ფიცარი ჩამოვცალე მანქანიდან და ა.შ.

და -ძმა ონოფრე და აკეფსიმა შუშანიები

სალომე ბარქაია და ბარომი შუშანია ვაჟიშვილ ოთარისთან

მონაზონი ნინო 2010 წელს 75 წლის ასაკში აღესრულა, დასაფლავებულია აქვე საგვარეულო სასაფლაოზე, აქვე არიან დაკრძალული უფროსი ძმა ოთარი, და სარაფიმა. მათ გზას კი შვილები და შვილიშვილები აგრძელებენ. რაც შეეხება და პაპიტის, რომელმაც კარგი ქართული ოჯახი შექმნა, ჰყავს ქალ-ვაჟი: ლატავრა და ლაშა. უფალს მადლობას ვწირავ იმისთვის რაც შემაძლებინა. მართალია თვალს დამაკლდა, მაგრამ თითქმის ყველა ლოცვა ზეპირად ვიცი და კრიალოსნის დახმარებით ვლოცულობ, მამა მელქისედეკს ვეხმარები და სხვა ყოველდღიური საეკლესიო საზრუნავით ვარ დაკავებული. დარწმუნებული ვარ წმინდანის მფარველობით ჩვენი ეკლესია მარდჟამს იქნება. 90-იან წლებში როცა ჭურვები მასირებულად ცვიოდა ირგვლივ, მამა მელქისედეკმა ჩვენება ნახა, წმინდანი როგორ სახავდა ჯვარს სავანეს, მართლაც არცერთი ჭურვი არ დასცემია ეკლესიას, მის მიღმა ეცემოდა ყველა.

დამეთანხმებით ალბათ მამა ალექსის სულიერებით გასხივოსნებული მენჯის მთავარანგელოზთა ეკლესიის მადლმოსილებაში. ამიტომ აქ მისული სხვა ძალით, სხვა განწყობით იმუხტები. მამა მელქისედეკის ღვთისმსახურება, ლოცვა-კურთხევა ღვთიური სიხარულით ავსებს მის სულიერ შვილებს და არა მარტო მათ.

ისიც უნდა აღინიშნოს რომ წმინდანს (მამა ალექსი შუშანიას) მეტაფიზიკური კავშირი აქვს თავის შთამომავლებთან. რომელიც ხილულ უხილავი ფორმით ვლინდება შუშანიათა სხვადასხვა თაობაში. ეს იქნება ხილვა თუ საეკლესიო ცხოვრება. ასე მოხდა ზოია და ნინოს შემთხვევაში. ისინი სამი წლისები მოვიდნენ სავანეში და თავის ცხოვრების კრედოდ ღვთის მსახურება გაიხადეს. დღესაც 83 წლის დედა ზოია ღვთის მოშიშებითა და სიყვარულით თავის დიდი წინაპრის ნაკვალევს მიუყვება. ის 1941 წლის 17 აპრილს, აღდგომა დღეს დაბადებულა კვაუთში, წინასწარ ვულოცავთ გაჩენის დღეს დედა ზოიას და ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს.

ნინო სართანია

ინოვაციური პროექტი

დედამიწაზე ყოველი საუკუნე გამოირჩევა თავისი განვითარების რაღაც ეტაპით, სადაც იქმნება ფასეულობათა გარკვეული სისტემა, ყალიბდება იდეოლოგიურ ფუნდამენტთა მყარი პლათფორმა, რაც, კაცობრიობას უქმნის საფუძველს გაარღვიოს ჩაკეტილი სამყარო, მოახდინოს სწრაფი სვლა საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, ეს იქნება სახელმწიფოს მართვა, ფინანსები, კულტურა, სპორტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერება თუ სხვა. ასე მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნემ მოგვცა სამხედრო ტექნოლოგიებში რევოლუციური გარდაქმნები, მეცხრამეტე საუკუნემ - ,,დიპლომატიური ურთიერთობები" სახელმწიფოთაშორისი დამოკიდებულების ოფიციალურ სტანდარტად აქცია, მეოცე საუკუნემ წარმოშვა ბირთვული რეაქციის საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა, რამაც საბოლოოდ გახსნა გზა კოსმოსის ათვისებისკენ, ოცდამეერთე საუკუნე კი საერთოდ ახალ განზომილებათა დანერგვის დროითი სივრცეა, რომელმაც სამყარო გადაიყვანა ვირტუალურ რეალობაში.

საქართველო, თავისი თვითმყოფადი ბუნებით, ყოველთვის იყო გლობალური სამყაროს მოკრძალებული ნაწილი, რომელიც მუდამ ფეხს უბამდა საუკუნის სუნთქვას, წვლილი შეჰქონდა თანამედროვე ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში დანერგვასა და განვითარებაში. სენაკის მუნიციპალიტეტი არ ჩამორჩა სამყაროს ზემოაღნიშნულ პროგრესულ ყიჟინას, სწორედ ის, ამ საკაცობრიო პარადიგმის - ფასეულობათა სისტემის, წარმატებული დამცველი და რეალიზატორი გამოდგა, რომლის ნათელი მაგალითია 2024 წლის მარტში ქალაქში გახსნილი ინოვაციური სივრცე - ტექნოპარკი (სამეგრელოს რეგიონში რიგით მეორე), სადაც თავმოყრილია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები, რაც წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას ინოვაციაზე დაფუძნებული საქმიანობის განვითარებისთვის. ტექნოპარკი აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, მიმართულებისა და იდეების მქონე ადამიანებს და ხელს უწყობს მათ, აღნიშნულ სივრცეში არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით, შექმნან ახალ იდეებზე, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებები, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზარს. სენაკის მუნიციპალიტეტში მდებარე ეს უნიკალური ტექნოლოგიური დაწესებულება აღჭურვილია სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორიით (ფაბლაბი) - სადაც წარმოდგენილია უახლესი დანადგარები: 3D პრინტერები, ლაზერული მჭრელი, CNC პროგრამირებადი (რუტერი), 3D სკანერი, ელექტრონიკისა და რობოტიკის კომლექტები და სხვა. მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული ლაბორატორიული სივრცე ეხმარება დაინტერესებულ პირებს ინოვაციური სტარტაპ იდეების მომზადებაში და პროტოტიპების შემუშავებაში. ტექნოპარკი საბოლოოდ მიზნად ისახავს ახალი იდეების მატერიალიზაციას, კერძოდ დახმარება გაუწიოს ადგილობრივ მოსახლეობას, ბიზნესის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტს გამოიყენონ აქამდე რთულად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა, როგორც ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია, ამ კუთხით ახალგაზრდობის ჩართულობა და მათი ცოდნის ამაღლება, თუ როგორ უნდა შექმნან ახალი პროდუქტი, რა ეტაპები უნდა გაიარონ იმისთვის, რომ ბიზნესად ჩამოყალიბდნენ და წარმატებას მიაღწიონ. საბოლოოდ აღნიშნული ინოვაციური ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობას, მაღალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ძალის შექმნას, ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებასა და ქვეყანაში ინვესტიციების მობილიზებას.

ახალი იდეების, ტექნოლოგიების ცხოვრებაში გატარებას სჭირდება მათი დანერგვის სწორი და გამართული ორგანიზება, დაუზარელი პათოსით შეიარაღებული, ენერგიული და შემოქმედებითი კოლექტივი. სენაკის ტექნოპარკს სათავეში უდგას, სწორედ ასეთი ახალგაზრდული ენერგიით აღჭურვილი ქალბატონი, სენაკის მკვიდრი თამარ მალანია - მან 2013 წელს წარმატებით დაამთავრა ქ.სენაკის №№1 საჯარო სკოლა, რის შემდეგაც სწავლა გააგრძელა "საქართველოს უნივერსიტეტის" სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 2018 წელს ასევე წარჩინებით დაასრულა. 2023 წლიდან შეუერთდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და დიდი წვლილი მიუძღვის რეგიონში ინოვაციების, ტექნოლოგიების, მეწარმეობის ხელშეწყობაში. სტარტაპ ეკოსისტემის შექმნისა და გაძლიერების მიზნით, აქტიურად ახორციელებს პროექტებს STEAM, ICT მიმართულებით და ხელს უწყობს Hardware პროტოტიპირებას, ინოვატორი ახალგაზრდების აღმოჩენას. 2024 წლის ნოემბერში ეკონომიკის სამინისტროს ეგიდით იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ორკვირიან გაცვლით პროგრამაზე - "მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება საქართველოსთვის", სადაც გაეცნო ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ეტაპებსა და სტარტაპ ეკოსისტემას. მონაწილეობა მიიღო ფორუმებში, კონფერენციებსა და მასტერკლასებში. ქალბატონმა თამარმა, 2024 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ენერგოეფექტურ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ქ.სარაევოში, მერიის სპეციალისტთან ერთად, წარადგინა ვრცელი პრეზენტაცია. კონფერენციაში მონაწილებდა აღმოსავლეთ ევროპის 9 ქვეყნის წარმომადგენელი. ამ სფეროში სენაკის მუნიციპალიტეტში დანერგილი ტექნოლოგიები მოწონებულ იქნა, როგორც საუკეთესო პრაქტიკად. ქალბატონი თამარი აქტიურად მუშაობს პიროვნულ განვითარებაზე, მას გავლილი აქვს არაერთი ტრენინგ-კურსი და მიღებული - სხვადასხვა ჯილდო:

პროექტი "მწვანე ყუთი - ნარჩენების თანამედროვე მეთოდების (რეციკლირება, სეპარირება) დანერგვისა და პოპულარიზაციისთვის სენაკის მუნიციპალიტეტში", ის მოხვდა UNDP კატალოგში, როგორც საუკეთესო პრაქტიკა რეგიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

"მოხალისეობრივი საქმიანობისა და საზოგადოებისთვის სასიკეთო ცვლილებების ინიცირებისთვის მადლობის სიგელი"- "ორბელიანი საქართველო"

"მწერალ აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის საპატიო ჯილდო ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისა და ახალაგაზრდების მხარდაჭერისთვის".

ქალბატონი თამარის სამსახურეობრივი მოღვაწეობა ჰარმონიაშია მის პირად ცხოვრებასთან, მან თავისი ყოფითი ვალდებულებების ჯაჭვს მთავარი რგოლი დააკრა - შექმნა ოჯახი. მისი მოკლე იდეა-გზავნილია -

„ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა ქალისა და დედისთვის, მთავარი ღირებულება და პრიორიტეტია განათლებული მომავალი თაობა, რომელთა მიზანი იქნება სამშობლოს ერთგულება და წინსვლა. ამას კი სჭირდება სწავლა, სწავლა და მუდმივი შრომა. მიხარია, რომ სენაკის ტექნოპარკში მრავალი ასეთი გულანთებული, ინოვატორი ახალგაზრდა ეზიარება ცოდნას, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს და ჩვენს ხვალინდელ უკეთეს მომავალს ქმნიან დღეს, ტექნოპარკში. მინდა ყველა მათგანს ვუსურვო დიდი წინსვლა და წარმატება და ყველა ქალს, დედას, შვილების ბედნიერი მომავალი. "

ზემოაღნიშნული ინოვაციური ტექნოლოგიური სივრცის წარმატებით ფუნქციონირებაში მის კოლექტივთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ასევე სენაკის მკვიდრს, ამავე ორგანიზაციის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის(FabLab) სპეციალისტს - დავით ხუხუას, ის ახალგაზრდული ენერგიის მქონე, მეტად შემოქმედებითი ახალგაზრდაა, მან 2012 წელს წარმატებით დაასრულა კერძო სკოლა "მარიოტა", უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სპეციალობით. ბატონი დავითი პროფესიით პროგრამისტია, 2013 წლიდან მუშაობს, როგორც მობაილ და ვებ დეველოპერი. სხვადასხვა ინდუსტრიებისთვის ვებ და მობილური პლატფორმები აქვს აწყობილი. 2021 წელს გამარჯვება მოიპოვა Gita-s da UNDP- ის მიერ ჩატარებულ ჰაკათონში ,,Uhack სოფლის მეურნოებისთვის". 2023 წელს გაიმარჯვა სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის კონკურსში პროექტით - ,,senaki loves you" , რომელიც ქალაქის ცენტრალური მოედნის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ქალაქის ცენტრალური სკვერების უფასო ინტერნეტით უზრუნველყოფას გულისხმობდა.

ბატონი დავითი 2023 წლიდან შეუერთდა სენაკის ტექნოპარკის გუნდს, როგორც სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის (FabLab) სპეციალისტი, ის ახალგაზრდებს (8 წლის ასაკიდან) ასწავლის რობოტიკას, 3D მოდელირებას, STEAM-ს, სხვადასხვა დანადგარების გამოყენებით პროტოტიპების აწყობას. STEAM,ICT და Hardware პროტოტიპების ხელშეწყობის პროექტების მეშვეობით, ორიენტირებულია რეგიონში შეიქმნას მასშტაბირების პოტენციალის მქონე ინოვაციური პროექტები/ პროტოტიპები. ბატონი დავითის მოკლე იდეა-გზავნილია -

"ჩემთვის, როგორც ფაბ ლაბის სპეციალისტისთვის, მნიშვნელოვანია სენაკის ტექნოპარკში შეიქმნას ისეთი პროტოტიპი, რომელსაც ექნება მასშტაბირების პოტენციალი და გამოარჩევს ჩვენს რეგიონს."

წელიწადის ამ შესანიშნავი დროის მონაკვეთის, გაზაფხულის ბუნებრივი მშვენიერების საოცარ პათოსს შეესაბამება ახლის დამკვიდრების რწმენით გაჯერებული იდეა, შესისხლხორცებული ახალგაზრდულ ენერგიასთან, რასაც კრებსითად ინოვაციას ვუწოდებთ. ასევე გაზაფხულთან ასოცირდება ქალბატონების სახება... ბოლოს, ქალბატონ თამარს, სხვა ქალბატონებთან ერთად, ვულოცავ დედის და ქალთა დღეებს, ვუსურვებ წარმატებებს ყოფით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!

გიორგი გარუჩავა

„გმირები არ კვდებიან"

2025 წლის 6 მარტს ნოქალაქევის საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეები ეწვივნენ სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. სადაც თანამშრომლები დიდი სიყვარულით დაგვხვდნენ, ხალისით მიგვიღეს და გაგვიწიეს მეგზურობა.

მოსწავლეებმა დაათვალიერეს მუზეუმი, გაეცნენ ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მოსწავლეობისა და საჯარო მოღვაწეობის ისტორიებს. ბევრი ახალი ინფორმაცია მოისმინეს და შეიმეცნეს, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ხოლო საქართველოს ეროვნული გმირის ასე უღვთოდ დაღუპვის ფაქტმა დაადარდიანა, გული დაწყვიტა მათ.

აქ ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა გამართეს ღონისძიება ,,გმირები არ კვდებიან". მათ ისაუბრეს ჩვენი საამაყო გმირის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, რომელმაც საკუთარი სოცოცხლე გასწირა და ქართველი კაცის ღირსების სიმბოლოდ იქცა, აღნიშნეს რომ გმირებს დავიწყება არ უწერიათ, ღონისძიების ინიციატორი იყო ნინო ჯიშკარიანი.

დასასრულს ჟიული შარტავას მემორიალს ვესტუმრეთ და ყვავილებით შევამკეთ. სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ.

ნანა ჯგერენაია,
ნოქალაქევის საჯარო
სკოლის დირექტორი

ჩღები მისი სიმდიდრეა

გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში, ტყემალი, მიწისგულიდან უკვე დიდი ხანია ამოვიდნენ გაზაფხულის მაცნეები: იები, ფურისულები, ყოჩივარდები, ნარცისები და მათთან ერთად დედისა და ქალთა დღესასწაულები. გვინდა მოვეფეროთ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მხცოვან, ღვაწლმოსილ ქალბატონებს და მივულოცოთ აღნიშნული დღესასწაულები..

საბედნიეროდ მრავლად გვყავს ნიჭიერი, სიყვარულით გარემოსილი, ქვეყნისა და სოფლის მოამაგე და მომსახურე ადამიანები.

გაზაფხულზე, 92 წლის წინათ დაბადებულა ქალბატონი ნათელა წურწუმია, ლამაზი და სანდომიანი ქალბატონი, პროფესიით მედდა. 56 წელი იმუშავა სენაკის ცენტრალური საავადმყოფოს უფროს ექთანად. ეს იყო პაციენტებზე ზრუნვაში გათენებული თეთრი ღამეები, თანაგრძნობა და მოთმინება, ავადმყოფის ახლობლების დამშვიდება ყველაზე უფრო სტრესულ სიტუაციებშიც კი. კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მის საქმიანობაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული პაციენტის მკურნალობის სწორი მართვა.

ქალბატონი ნათელა ყველას უყვარდა და პატივს სცემდა მისი სამართლიანობის და დაუღალავი თანადგომის გამო. არ არსებობდა დღის მონაკვეთი, მისგან ვინმეს დახმარება დასჭირვებოდა და არ დახმარებოდა, რამდენმა ექიმმა თუ ინტერმა გაიარა მის ხელში, როგორ ეხმარებოდა და მხარში ედგა ახალგაზრდა ექიმებს. ძალიან უყვარდა მისი საქმე, რადგან თვლიდა, რომ წარმატებულ ექთანს, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი პროფესიის ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროება საკუთარი საქმის სიყვარული, ასევე შრომისმოყვარეობა და სწრაფვა მუდმივი პროფესიული განვითარებისკენ. შრომობდა ბოლო დღემდე. იმ, ავად სახსენებელ 90-იან წლებშიც კი არ მიუტოვებია საავადმყოფო და თითქმის მარტო ერთი ექთანი ემსახურებოდა ხალხს. კეთილსინდისიერი მუშაობისათვის არაერთხელ იყო დაჯილდოებული მედლითა და მადლობის ბარათებით.

ცხოვრებაში ბევრი სიხარული, ბედნიერება წვევია ქალბატონ ნათელას, ცხოვრების სტიმულს მატებენ შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. სამი შვილი გაზარდა, ორი ვაჟი და ქალიშვილი. ცხოვრებამ დიდი ტკივილი არგუნა შვილის დაკარგვით, გარდაეცვალა ვაჟიშვილი ნუკრი, რომელიც ქირურგი იყო და მოსკოვში მუშაობდა მთავარ ექიმად. ბადრის სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი(ხუთივე ბიჭები) ჰყავს.

დედისთვის შვილის დაკარგვა, სუნთქვის შეწყვეტას ნიშნავს – ამბობენ დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ დრო ხომ მხოლოდ დროებით გვავიწყებს ტკივილებს. მხცოვანი ადამიანი უფალს მადლობას სწირავს ყოველი დღისთვის და შესთხოვს ყველას მიეღწიოს მის ასაკამდე. შვილები ლალი და ბადრი, შვილიშვილები და შვილთაშვილები თავს ევლებიან ქალბატონ ნათელას, ცდილობენ დარდი და ტკივილი შეუმსუბუქონ.

ასაკით პატარა გოგო იყო, მაგრამ ახსოვს, როდესაც დიდ სამამულო ომში გმირულად დაიღუპა მისი ბიძა, მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, მაიორი ალექსანდრე წურწუმია.

ნაზი როგავა- ჩვენი ნათელა, მოსიყვარულე, საუკეთესო მეზობელი, კეთილი ქალბატონია, რომელსაც ყველას გასაჭირი გულთან ახლოს მიაქვს. კარგი დედა და ბებიაა. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთ ასაკში შვილის სიკვდილი განაცდევინა უფალმა. ვულოცავ დედის და ქალთა დღეებს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას თავისი შვილების საიმედოდ.

ძვირფასო ქალბატონო ნათელა, რედაქციის სახელით დაბადების დღეს, გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ, გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლეს თქვენს შვილებთან, შვილიშვილებთან, შვილთაშვილებთან ერთად. საუკუნეც მიგეთვალოთ დიდებულო ქალბატონო.

მ. შონია

წინაპართა კვალდაკვალ

მასწავლებლის ჯილდო მოსწავლეების სიყვარულია

,,ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს, რომელიც რაც უნდა ბევრს დაურიგო, შენ არა დაგაკლდება რა". ჩვენი დღევანდელი იუბილარი, ქალბატონი ნორა გადელია, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სწორედ ამ პრინციპით ეწეოდა მასწავლებლის სასიამოვნო, მაგრამ რთულ და შრომატევად ტვირთს. ის ყოველდღე ანთებულ სანთელივით ცოდნის ჯადოსნურ სამყაროში გზას უნათებდა, უკვალავდა თავის მოსწავლეებს. ამიტომაც ჰყავს მას აღზრდილთა მთელი არმია, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა მიმართულებებით მოღვაწეობენ და თავიანთ პროფესიაში წარმატებულები, რაც მთავარია კარგი ადამიანები არიან. ისინი ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით ხვდებიან თავიანთ მასწავლებელს. ასევე იხსენებენ მის დაუვიწყარ გაკვეთილებს. მასწავლებლის ჯილდო ხომ მოსწავლეების სიყვარულია. ქალბატონი ნორაც ამ სიყვარულითაა მდიდარი.



ვასილ გადელია

ეს კეთილშობილი ქალბატონი ჩვენთვისაც უახლოესი ადამიანია, რადგანაც ,,კოლხეთის" ღვაწლმოსილი ჟურნალისტის-ლამარა გადელიას დაა, გარდა ამისა ის თავადაც წლების მანძილზე ჩვენს გაზეთთან თანამშრომლობდა. მის უამრავ წერილს-სენაკის საგანმანათლებლო კულტურულ ცხოვრებიდან უხვად ინახავს ფოლიანტად ქცეული ჩვენი გაზეთის ფურცლები. მადლობა მას ამ კუთხითაც გაწეული გარჯისთვის, ჩვენთან მეგობრობისთვისაც.

აქვე მოკრძალებით გვინდა შევეხოთ ერთ ფაქტს. მართალია ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია და საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში პიროვნულ მეს ინდივიდუალურად ავითარებს, მაგრამ ვფიქრობ პიროვნების ჩამოყალიბებაში გენეტიკაც უმნიშვნელოვანესია. ამ კუთხით ქალბატონ ნორას მართლაც რომ ღირსეული წინაპრები ჰყავდა, რომელთა შესახებ ინფორმაცია გვინდა ჩვენს მკითხველებსაც შევახსენოთ.

მამას-სამსონ გადელიას დამთავრებული ქონდა ჯერ მარტვილის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ პეტერბურგის სამხედრო აკადემია. სხვადასხვა წლებში ცხოვრობდა ფინეთში, ნორვეგიაში, დანიაში, შვეიცარიაში. თავისუფლად ფლობდა რუსულ, ფინურ და გერმანულ ენებს. პროფესიით კავშირგაბმულობის სპეციალისტი იყო. მისი გაყვანილია რადიო ხაზები აფხაზეთში, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში. რაც შეეხება ბაბუას, ვასილ გადელიას, საქართველოში ცნობილ გამომცემლებთან ერთად მოღვაწეობდა. როგორც ცნობილია სენაკში კოწია თავართქილაძემ გახსნა სტამბა და მისი მართვა ძმას, სიოს მიანდო. ქვემოთ მოცემულ ფოტოზე ვასილი და კოწია ერთად არიან გადაღებული, როგორც ჩანს ერთ საქმეს ემსახურებოდნენ და საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა ქონდათ. ვასილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ყოფილა. ატარებდა ფსევდონიმს ვინ-განი, ერთი პერიოდი ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიის გამგის თანშემწედაც მუშაობდა. ვიკიპედიაში დაცული ინფორმაციით ის ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას, ფლობდა ,,ალიონის", ,,კიწიელის", ,,ახალი თეატრის" და ა.შ. ფირმებს, მიუხედავად არაერთგზის დაპატიმრებისა კვლავ განაგრძობდა აქტიურ საქმიანობას.



ქართული წიგნის გამომცემელნი. მარცხნიდან დგანან: იოსებ იმედაშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე, ისიდორე კვიცარიძე, ვასილ გადელია, მარცხნიდან სხედან: სოსიკო მერკვილაძე, ივანე როსტომაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, კოწია თავართქილაძე, სპირიდონ ჭელიძე.

ნორა გადელია

სხვადასხვა გამოცემებში აქვეყნებდა ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილებს, ბეჭდავდა სხვადასხვა სახის ლიტერატურას, წიგნებს. ვასილ გადელია თბილისში ვერაზე, ყაზბეგის 5 ნომერში ცხოვრობდა, სადაც უნიკალური

სამსონ გადელია

ბიბლიოთეკა ჰქონია განთავსებული. ბიბლიოთეკის ნაწილი მაშინდელ მთავრობას გაუნადგურებია, გადარჩენილი ნაწილი კი ვასილ გადელიას სიცოცხლეშივე უნივერსიტეტისათვის გადაუცია საჩუქრად.

როცა თვალს ავლებ ამ შესანიშნავი ადამიანების ცხოვრების გზას, ხვდები რაოდენ მრავალმხრივად მნიშვნელოვანია თუ ვისი გორისა ხარ, თუნდაც გენეტიკური კოდის შთამომავლებში გასაგრძელებლად. ამ მხრივ ვასილ და სამსონ გადელიების ღირსეული მემკვიდრეები გახდნენ ქალბატონები-ლამარა და ნორა, აწმყოში კი თითოეული მათგანის სულიერ, ინტელექტუალურ, შემოქმედებით... ტალანტებს თავისთავში მოიცავს შვილიშვილი ლელა გოგინავა(მადლობა მას ინფორმაციის გაზიარებისათვის).

ამ წერილით გვინდა ჩვენს უსათნოეს ქალბატონს-ნორა გადელიას გაჩენის დღე, დაბადებიდან 87 წელი მივულოცოთ და დღეგრძელობა, ჯანმრთელობა ვუსურვოთ. ხოლო ჩვენი უფროსი კოლეგის - ქალბატონ ლამარა გადელიას სულს მოვეფეროთ და ვუთხრათ, რომ ძალიან გვაკლია მისი სითბო, სიყვარული, დედაშვილური დამოკიდებულება.

ბაჩანა სართანია

პოზიტიური ქალბატონი



სამყაროში უფრო მეტად დაფიქრებული, დარდიანი, დაღვრემილი სახეები გვხვდება, ვიდრე ღიმილიანი. არადა როგორ გვჭირდება ღიმილი, სითბო, სიყვარული განახლებისთვის, აღდგენისთვის, გზის გაგრძელებისთვის. ქართველებს კი რამდენი ასეთი სიტყვა გვაქვს გულს რომ გაგითბობს: შენი ჭირიმე, შემოგევლე, დაგენაცვლე, დილა მშვიდობისა და ა. შ. ადამიანებიც ხომ გვყავს და გვყავს თავს რომ შემოგავლებენ, ჭირსა და ლხინში რომ მყარად დაგიდგებიან.... ისინი ჩვენი სიმდიდრეა, სიძლიერეა. ჩვენი უპირობო თაყვანისცემა ასეთ ადამიანებს. მიმოვიხედოთ, ჩვენს ირგვლივაც მრავლად არიან ასეთები, მაგალითად, ქალბატონი ინეზა ღვინჯილია(საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტის და ტურიზმის მუშაკთა პროფესიული კავშირი). მისი მთავარი მახასიათებელია ადამიანების დახმარება და გახარება. თბილი და კეთილი საჭიროების ჟამს შეუძლებელს შეძლებს, რაც მთავარია ღიმილს არ დაგამადლის. სითბოსა და ყურადღებას არ მოგაკლებს, პოზიტიურ ქალბატონს ჩვენც გვინდა მოვეფეროთ და მადლობა ვუთხრათ ყოველი წლის გაზაფხულზე მარტის დღესასწაულებს რომ გვილამაზებს, აღნიშნული კავშირის წევრებს გვანებივრებს. ვაფასებთ მის ყურადღებას და მზრუველობას, თავადაც ვულოცავთ დედის და ქალთა დღეებს. ვფიქრობთ სიყვარულის გამრავალფეროვნებით პირველ რიგში ჩვენს თავს ვჩუქნით სიხარულს და მერე სხვას. ამისთვის ერთი ღიმილიც კი საკმარისია, იქნებ ღიმილის აქცია დაგვეწყო. წარმოიდგინეთ რამდენ სიხარულს დავთესავთ ერთმანეთის სულსა და გულში.

ჟულიეტა ჩაჩიბაია

მზრუნველი დედა და ბებია



სოფელ ზანაში ცხოვრობს ოთხი შვილის, 7 შვილიშვილისა და 6 შვილთაშვილის ბებია, ქალბატონი ნორა აკაკის ასული კვირაია, რომელიც 11 აპრილს 98 წლის გახდება.

ქალბატონი გამოირჩევა ენაწყლიანობით და გამჭრიახი გონებით. ბოლო დროს, მართალია უჩივის ჯანმრთელობას, მაგრამ მას არ ეპუება, ვერ ეგუება ,,უსაქმურობას", ერთ ადგილას ყოფნას. ბავშვობიდან მოყოლებული საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. უვლიდა ბოსტანს, საქონელს. ოთხი შვილი გაზარდა: ერთი ვაჟი და სამი ქალიშვილი, მათთვის შეძლებისდაგვარად არაფერი დაუკლია და შესაფერისი განათლებაც მიაღებინა.

მხცოვანი ქალბატონი ხშირად ფიქრობს განვლილ ცხოვრებაზე და ამბობს, - რომ თითქმის ერთი საუკუნე იცხოვრა, გამოიარა სამამულო ომით გამოწვეული დუხჭირი ცხოვრება, მშვიდობიანი პერიოდი, მაგრამ დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, არაფერს შეცვლიდა მის ცხოვრებაში, ისევე დატოვებდა ყველაფერს. ეამაყება, რადგან ყველაზე მეტად რისთვისაც იღვწოდა ცხოვრებაში, მიღწეული აქვს შვილების, შვილიშვილების სახით, რომლებსაც თავიანთი საქმიანობით საზოგადოებრივ საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.

– შვილიშვილებს ძალიან უყვართ საყვარელი, მზრუნველი და კეთილი ბებია, რომელსაც ცხოვრების მანძილზე ცუდი არავისთვის უსურვებია, ყოველთვის ცდილობდა კეთილი საქმეები ეკეთებინა და დახმარების ხელი გაეწოდებინა მათთვის, ვისაც გვერდში დგომა სჭირდებოდა.

თვითონაც შვილიშვილებზე და შვილთაშვილებზე დიდი სიყვარულით, სითბოთი და სიამაყით ესაუბრება ყველას. ხშირად ამბობს, როცა ჩემს მონაგარს ვუყურებ, ბედნიერი და დამშვიდებული ვარო.

შვილიშვილები, შვილთაშვილები ულოცავენ ნორა ბებოს დაბადების დღეს, უსურვებენ ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლეს. ჩვენც ვუერთდებით მილოცვას, კიდევ დიდხანს იყავით მხნედ თქვენს მონაგართან, ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

მ. გერგაია

ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

გოჩა ჭანტურიას და თეონა ცირამუას ოჯახში დიდი სიხარულია, წყვილს **ტყუპი ასულები** შეეძინა. ვულოცავთ მათ უდიდეს ბედნიერებას! გაზრდილიყვნენ პატარები ბედნიერები, ჯანმრთელები. ფარავდეს უფალი მათ სამომავლო გზებს.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია

ს ი ა ხ ლ ე

გაზაფხულის შემობრძანებასთან ერთად შპს ,,თეთრმა დათვმა", სენაკის მუნიციპალიტეტის ცენტრში განაახლა თავისი სანაყინე ჯიხური, რომელიც წარმოადგენს სეზონის მახარობელს, ბავშვებისთვის გაგრილებისა და გართობის ერთგვარ პუნქტს, ზოგადად მოსახლეობისთვის კი გემრიელი ნაყინის კომფორტულად შეძენის ადგილს . . .

სპორტი

საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში

14-16 მარტს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი "ტოპ-სპინი" მაგიდის ჩოგბურთში. ტურნირი ჩატარდა სამ სხვადასხვა კატეგორიაში: ახალგაზრდებში 40 წლამდე, ვეტერანებში 40+ და გუნდურში (ერთი ახალგაზრდა და ერთი ვეტერანი). წარმატებით იასპარეზეს სენაკელმა მაგიდის ჩოგბურთელებმა და დაიკავეს საპრიზო ადგილები. ახალგაზრდებს შორის მეორე ადგილი დაიკავა დავით გეგენავამ. ვეტერანებში მეორე ადგილზე გავიდა სასპორტო გაერთიანების სკოლის მწვრთნელი კობა ჩხიკვაძე.

გუნდურ შეჯიბრში სენაკის ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა(დავით გეგენავა, კობა ჩხიკვაძე), ასევე მესამე გუნდურ ადგილზე გავიდნენ ალექსი ცინარიძე(სენაკი) და ოთარ დოხჭვირი ბათუმი).

უნდა ავღნიშნოთ რომ სენაკელი სპორტსმენებისთვის ეს იყო პირველი საერთაშორისო ტურნირი. ვულოცავთ მათ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

მ. ჭუბაბრია

ხსოვნა

ლელა საბახტარაშვილი

პირველი აპრილი შენი დაბადების დღეა, 49 წელი შეგისრულდებოდა. დღე, რომელიც გამოჩეულად გიყვარდა, ხალისიანად გრძნობდი თავს შენი მეგობრებისა და ახლობლების გვერდით. ჩვენც გვაბედნიერებდა შენი პოზიტიური დამოკიდებულება, სიმშვიდე, სითბო, სიყვარული. უსაზღვროდ ტკივილიანია იმის გაცნობიერება, რომ მარადიულ სასუფეველში ხვდები შენს დაბადების დღეს. მიზანდასახული და შრომისმოყვარე იყავი. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ წარმატებულად საქმიანობდი სენაკის რაიონულ სასამართლოში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში. გულისხმიერებით უწევდი საჭირო იურიდიულ კონსულტაციას ადამიანებს. ჩვენო ლელა, წინ გქონდა უამრავი სამომავლო გეგმა, გამოირჩეოდი გემოვნებით, ჩაცმის კულტურით, სილამაზით, ალბათ ამიტომაც გამოგარჩია უფალმა, მედგრად უმკლავდებოდი გამოჩენილ მძიმე ავადმყოფობას. რთული გზა გავიარეთ შენი ოჯახის წევრებმა, უდიდესი სულიერი და მატერიალური რესურსის გამოყენებით ვიბრძოლეთ შენი სიცოცხლის გადასარჩენად. მამამ, ტარიელ საბახტარიშვილმა ვერ შეძლო გამკლავებოდა მძიმე განსაცდელს და შენს გარდაცვალებამდე დაიდო ბინა მარადიულ სამყოფში. მძიმე ტვირთი დაუტოვე დედას ნანის, რომელიც შვილის უკიდეგანო მონატრებით, ცრემლით და ტკივილით აგრძელებს ტანჯულ სიცოცხლეს.

შენს ვაჟკაცებს, ნიკოლოზს და საბას თავს დასტრიალებენ შენი დები თეა და სოფო, ცდილობენ უდედობა არ აგრძნობინონ, ჩართონ მნიშვნელოვან ღონისძიებებსა და სასკოლო აქტივობებში. უჭირს უშენობა მეუღლეს მამუკა ჯანჯღავას, აკლიხარ სიძეს გელას და მთელ ჩვენს სანათესაოს.

ანუკი და ანრისთვის საფიცარი დეიდა იყავი. მეგობრობდი ახალგაზრდებთან, ისინიც განსაკუთრებით აფასებდნენ შენს რჩევას და იზიარებდნენ სიკეთით სავსე აზრებს. ანუკის პატარა ვაჟკაცი ჰყავს, ამით სიცოცხლე გრძელდება ჩვენს ოჯახებში.

ჩვენო ლამაზო ლელა, გვჯერა შენი შვილები გაიზრდებიან სახელოვან ვაჟკაცებად, იმ ღირებულებებითა და ფასეულობებით, რომლის განვითარებას შენს სიცოცხლეშივე ჩაუყარე საფუძველი. მზრუნველი მეუღლე და შვილებზე გადაგებული დედა იყავი.

გვიჭირს იმის გაცნობიერება, რომ ჩვენს შორის აღარა ხარ, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, პირველ აპრილს მოვალთ შენს საფლავზე, შევიკრიბებით შენი ახლობელი ადამიანები, ლოცვით, სანთლებით, ყვავილებით მოვეფერებით ლელა საბახტარაშვილის ლამაზ სულს.

ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრებავ, იძინე მშვიდად მამის გვერდით, ნულარაფერი შეაშფოთებს შენს სამარადჟამო ძილს. ჩვენს ოჯახს კი მუდამ შემორჩები უკიდეგანო ტკივილად და გაუსაძლის მონატრებად.

ოჯახი

გაზეთ ,,კოლხეთის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეკა და ბესიკ ნარმანიებს დედის

ფარიზა გოგოლაძე-ნარმანიას

გარდაცვალების გამო

ხოფერიას ქუჩის მეზობლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ გული და კობა ბერიძეებს შვილიშვილისა და დისშვილის

ანა კიკილაშვილის

გარდაცვალების გამო

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, რუსთაველის ქ. №235
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33